სახლის, ბინის დაზღვევის პროდუქტები საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე

თენგიზ ვერულავა, ქეთევან გაბუნია, ნინო ჯანჯალაშვილი

გამოქვეყნდა რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალში "ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა" N 1 2015.

ციტირება: თენგიზ ვერულავა, ქეთევან გაბუნია, ნინო ჯანჯალაშვილი. „სახლის, ბინის დაზღვევის პროდუქტებისა და ფინანსური მაჩვენებლების შეფასება საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე“. *ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა,* №1 (2015).

http://hepoins.com/index.php/component/k2/item/53-homeinsurance

შესავალი

სახლის, ბინის დაზღვევა ქონების დაზღვევის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. ქონების დაზღვევა უზრუნველყოფს ქონების ნებისმიერი მესაკუთრის (მოქალაქის, საწარმოს, სახელმწიფოს) ქონებრივი ინტერესების დაცვას მისი განადგურების, დაზიანების ან დაკარგვის რისკისაგან.

ქონება წარმოადგენს მატერიალურ ობიექტს ან საქონელს, რომელსაც ფლობს, სარგებლობს და განაგებს მფლობელი ან მისი ნდობით აღჭურვილი პირი. ორგანიზაციის ან კერძო პირის ქონება შეიძლება მოიცავდეს მიწას, შენობას, ავეჯს, საბანკო ანგარიშებს, ტანსაცმელს, საწარმოს აქციებს, შექმნილ ნაწარმოებზე საავტორო უფლებებს, ავტომობილებს, გამოგონებაზე პატენტებს და სხვა ათას საგნებს.

ქონების დაზღვევისას **დაზღვევის ობიექტს** წარმოადგენს სხვადასხვა სახის ქონება: შენობა/ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები, ავეჯი და ინვენტარი,

ელექტრონული და საოფისე ტექნიკა, სასაწყობო და სასაქონლო მარაგები, სატრანსპორტო საშუალებები, ტვირთი, ნედლეული, მასალები, შინაური ცხოველები, სასოფლო-სამეურნეო ნათესები და ნარგავები, საოჯახო ქონება და სხვა. შემოსავლის დაკარგვის რისკი, რომელსაც მესაკუთრე ღებულობს საკუთრებისგან ასევე შეიძლება იყოს დაზღვეული. სადაზღვევო დაფარვა შეიძლება მოიცავდეს აგრეთვე ქონებრივ უფლებებსაც.

შენობა/ნაგებობები. შენობა წარმოადგენს ნაშენის ისეთი სახეს, სადაც ძირითადი ტექნოლოგიური პროცესის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია სათავსის (სათავსების) არსებობა, მაგალითად: საცხოვრებელი სახლი, რომლის ძირითადი ტექნოლოგიური პროცესის წარმართვისთვის - ცხოვრებისთვის, აუცილებელია სათავსის (სათავსების) არსებობა. საქართველოს მთავრობის დადგენილება №57 მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ შენობას ამგვარად განმარტავს: შენობა არის ნაგებობა, რომელიც ქმნის გადახურულ სივრცეს, შემოსაზღვრულია კედლებით, კოლონებით ან/და სხვა შემომზღუდავი კონსტრუქციებით (საქართველოს მთავრობის დადგენილება. 2009)[1].

შენობას განეკუთვნება ყველა საცხოვრებელი, სააგარაკო შენობები, სამეურნეო და გარე ნაგებობები, საცხოვრებელი ფართი მრავალბინიან შენობებში, განუყოფელი კონსტრუქციული ელემენტების, შიდა და გარე მოპირკეთებისა და საინჟინრო მოწყობილობის ჩათვლით.

განუყოფელი კონსტრუქციული ელემენტები – ყველა ის ელემენტი, რომელიც შენობა/ ნაგებობების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ლოჯებისა და აივნების ჩათვლით.

შიდა და გარე მოპირკეთება – ყველა სახის სალესი და სამღებრო, ასევე ძერწვითი სამუშაოები; ასევე კედლების მოპირკეთება ნებისმიერი სახის ხის მასალით, პლასტიკატით ან მსგავსი მასალით, შპალერი, იატაკისა და ჭერის საფარი, ფანჯრები და კარები, შიდა ტიხრები, შიდა დეკორატიული ელემენტები და შიდა კიბეები, საძირკველი, საძირკვლის და სარდაფის კედლები,

ავეჯი – ნებისმიერი ავეჯი, ჩაშენებული ავეჯის ჩათვლით.

---

[1] თავი I. მუხლი 3. ტერმინთა განმარტება, პუნქტი 78., საქართველოს მთავრობის დადგენილება №57 2009 წლის 24 მარტი ქ. თბილისი, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“.

საყოფაცხოვრებო საინჟინრო მოწყობილობა – სანიტარულ-ტექნიკური და გასათბობი მოწყობილობები, წყლის ბოილერები, წყალგაყვანილობა, გაზგაყვანილობა, ელექტროგაყვანილობა, შიდა და გარე მიწისქვეშა კანალიზაციის სისტემა, ელექტრონული მრიცხველები, სატელევიზიო და სატელეფონო კაბელები.

საყოფაცხოვრებო ტექნიკა – იგულისხმება საყოფაცხოვრებო მოხმარების ტექნიკა, როგორიცაა: მაცივარი, გაზის და ელექტროქურა, მტვერსასრუტი, უთო, ტელევიზორი, რადიომიმღები, მაგნიტოფონი, მუსიკალური ცენტრი, ფენი, მიკროტალღური ღუმელი, სარეცხი და ჭურჭლის სარეცხი მანქანა, კონდიციონერი, სტაციონარული კომპიუტერი, ელექტროჩაიდანი, გამწოვი, ტოსტერი, სამზარეულოს კომბაინი, ელექტროხორცსაკეპი, გრილი, წვენსაწური, ყავის ელექტროსაფქვავი და ელექტროსახარში, ბლენდერი, მიქსერი, იატაკის გასაპრიალებელი და საშინაო პირობებში სტაციონარულად გამოსაყენებელი სხვა საყოფახოვრებო აპარატურა.

მობილური ელექტროტექნიკა – ნოუთბუქი, პალმტოპი, ფოტოკამერა, ვიდეოკამერა, მობილური ტელეფონი, მინიმაგნიტოფონი, აიფოდი და სხვა ელექტროტექნიკა, განკუთვნილი გამოყენებისათვის მგზავრობის დროს.

სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები - საოჯახო ნივთები, პირადი მოხმარების საგნები, რომლებიც გამოიყენება საოჯახო მეურნეობაში (ჭურჭელი, ტანსაცმელი, ხალიჩები, ფარდები, ფარდა-ჟალუზები და ა.შ.).

მანქანები, გადამცემი მოწყობილობები, დანადგარები - მოცემული ჯგუფი მოიცავს საწარმოო მანქანებს, მოწყობილობებს, დანადგარებს, როგორც მექანიკური თვისებების, ასევე ენერგიის გადაცემასთან და განაწილებასთან დაკავშირებულ ობიექტებს.

საწარმოო და სხვა მოწყობილობა - მათ განეკუთვნებიან სტაციონარული და არასტაციონარული (მობილური) მოწყობილობები, მათ შორის მისი ნაწილები, ფრაგმენტები, დეტალები.

სასაქონლო მარაგი, მასალები, საწვავი, ნედლეული - ქონების ეს ჯგუფი მოიცავს ნედლეულს და სხვა მასალებს, დაუსრულებელი წარმოების ობიექტებს (ნახევარფაბრიკატები) და მზა პროდუქციას, აგრეთვე დამხმარე მასალები, ყუთები და შესაფუთი საშუალებები, საწვავი და საპოხი მასალები, სამშენებლო მასალები, საწმენდები და სხვა დამხმარე სითხეები, ნარჩენები და ა.შ..

ქონების აღნიშნული ჯგუფებზე შეიძლება გავრცელდეს დაზღვევა როგორც სრული მოცულობით, ასევე ქონების ცალკეულ სახეებზეც. ამგვარად, სადაზღვევო ხელსეკრულებაში ზუსტად არის მითითებული ქონების ის ობიექტები (ჯგუფები), რომლებიც იფარება დაზღვევით.

მსოფლიო გამოცდილებით დაზღვევის ობიექტებიდან უფრო მეტად გავრცელებულია მოქალაქეთა შენობების და საოჯახო ქონების დაზღვევა, რომლებიც სტატისტიკური მონაცემებით, ხელშეკრულებათა დაახლოებით 80%-ზე მეტს და მოზიდული სადაზღვევო პრემიის არანაკლებ 40%-ს შეადგენს.

ქონების დაზღვევისას ***სადაზღვევო შემთხვევას*** წარმოადგენს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში რისკის დადგომის შედეგად დაზღვეული ქონების დაკარგვა, დაზიანება ან განადგურება, რომელიც იფარება სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების თანახმად.

ქონების განადგურების მაგალითია ქონების განადგურება ხანძრის გამო. ქონების დაკარგვა დაკავშირებულია კანონსაწინააღმდეგო ქმედებასთან (მაგ.: ქურდობა). ასევე ქონება შეიძლება დაზღვეული იყოს კანონიერი მიზეზით გამოწვეული დანაკარგებისაგან (მაგ.: ქონების ჩამორთმევა, მისი ნაციონალიზაცია და ა.შ.). ქონების დაზიანების (გაფუჭება) მაგალითია საოჯახო ქონების დაზიანება წყალგაყვანილობის სისტემის დაზიანების გამო.

ქონების დაზღვევის დროს ***სადაზღვევო რისკებია***:

- ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა, საფრენი აპარატის ან მისგან გადმოვარდნილი საგნების დაცემა;
- სტიქიური უბედურებები: წყალდიდობა, შტორმი, ქარიშხალი, სეტყვა, ზვავი, თოვლის სიმძიმე, მიწისძვრა;
- წყლით დაზიანება, დატბორვა;
- ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა;
- მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ვანდალიზმი;
- მინების მსხვრევა;
- მანქანის შეჯახება.

სახლის, ბინის დაზღვევის დროს არსებობს ბაზისური (სტანდარტული) სადაზღვევო დაფარვა, გაფართოებული მოცვა, დამატებითი საფრთხეები, და განსაკუთრებული შემთხვევები.

ა) ***ბაზისური (სტანდარტული) დაფარვა*** შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საფრთხეებს: ხანძარი, მეხის დაცემა, აფეთქება, პილოტირებული მფრინავი ობიექტის ან მისი ნაწილების დაცემა.

ბ) ***გაფართოებული მოცვა.*** ზოგჯერ სადაზღვევო კომპანიები ახდენენ სტანდარტული სადაზღვევო დაფარვის გაფართოებას. ამ დროს სადაზღვევო ხელშეკრულებაში ხდება სხვადასხვა პუნქტების დამატება, მაგალითად, წყლის შეღწევასთან, წყალმომარაგების, ენერგომომარაგების, საკანალიზაციო, ხანძრის ჩამქრობი სისტემების და სხვა ავარიასთან, ტექნოლოგიური და ტექნიკური ხასიათის სხვა რისკებთან დაკავშირებული ზარალის დაფარვას; მოცემული დაფარვა შესაძლებელია გაფართოვდეს მესამე პირთა სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებების რისკებზე (ქურდობა გატეხვით, ძარცვა და ა.შ.). ზოგიერთი სადაზღვევო კომპანია დაზღვეულებს სთავაზობს ბინაზე მომსახურებას. მაგალითად, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო კომპანია ეხმარება დაზღვეულებს სარემონტო სამუშაოებისათვის სპეციალისტების მოძებნაში ან თავად ახდენს სარემონტო სამუშაოების ჩატარებაზე შეკვეთის ორგანიზებას.

გ) ***დამატებითი საფრთხეები*** - დაფარვა, რომელიც მოიცავს სტიქიური უბედურებების რისკებს (მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ვულკანის ამოფრქვევა, ქარისხალი და ა.შ.);

დ) ***განსაკუთრებული შემთხვევები*** - საწარმოო (ზოგჯერ კომერციული, სავაჭრო) საქმიანობის პროცესის დროებითი შეჩერების დაზღვევა.

სადაზღვევო ანაზღაურების ტიპები

ქონების დაზღვევისას სადაზღვევო ანაზღაურების შემდეგი სახეები გამოიყენება: პროპორციული დაზღვევა, პირველადი რისკით დაზღვევა და ლიმიტირებული ანაზღაურება.

პროპორციული დაზღვევის პრინციპი გულისხმობს დაზღვეული ობიექტისადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურებას იმ პროპორციით, რასაც სადაზღვევო თანხა შეადგენს სადაზღვევო ღირებულების მიმართ.

პირველი რისკით დაზღვევის დროს ანაზღაურდება ზარალის 100 % სადაზღვევო თანხის ფარგლებში. თუ ზარალი მეტია სადაზღვევო თანხის სიდიდეზე, ამ შემთხვევაში სადაზღვევო ორგანიზაცია არაა ვალდებული ზარალის ეს ნაწილი აანაზღაუროს.

ლიმიტირებული (ზღვრული) ანაზღაურების დროს მიყენებული ზარალის ოდენობა ზღვრული და ფიქსირებულია. ლიმიტირებული ანაზღაურება გამოიყენება მსხვილი რისკების დაზღვევის დროს, სადაც მზღვეველი ვერ დაფარავს ყველა რისკს. ლიმიტირებული დაზღვევა ხელს უწყობს დაზღვეულის მოტივაციას ფრთხილად მოეკიდოს დაზღვეული ქონების გამოყენებას, სადაზღვევო შემთხვევის თავიდან ასაცილებლად მიიღოს მისი დაცვის შესაბამისი ზომები.

ჩვეულებრივ, ქონების დაზღვევის ხელშეკრულება იდება 1 წლის ვადით. სადაზღვევო ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს დაზღვევის ვადის ავტომატურ გაგრძელებას. სადაზღვევო ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შემთხვევაში, დამზღვევს უბრუნდება სადაზღვევო შესატანის სადაზღვევო ხელშეკრულების დამთავრებამდე დარჩენილი დროის პროპორციული ნაწილი (სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით).

სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდე განისაზღვება დაზღვევის ობიექტის აღდგენითი ღირებულებით სადაზღვევო თანხის ფარგლებში. სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდე არ შეიძლება აღემატებოდეს რეალური ზიანის თანხის სიდიდეს.

მყიდველს, რომელიც იძენს ქონების დაზღვევის პოლისს, შესაძლებლობა აქვს აირჩიოს დაზღვევის ორი სახეობიდან ერთ-ერთი:

- დანაკარგების ანაზღაურების დაზღვევა,
- ნარჩენი ღირებულების დაზღვევა.

დანაკარგების ანაზღაურების დაზღვევა გულისხმობს მწყობრიდან გამოსული ან/და დაზიანებული ქონების შეცვლაზე გასაწევ ხარჯებს, ხოლო ნარჩენი ღირებულების დაზღვევა იმ ქონების ღირებულებაა, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე იმყოფება გამოყენებაში და რის გამოც იგი საწყის ღირებულებაზე ნაკლებია. პირველი დაზღვევა გაცილებით ძვირი ღირს, ვიდრე ნარჩენი

ღირებულების, ვინაიდან იგი გვთავაზობს ქონების უფრო სრულყოფილ დაცვას, რადგან ასეთი დაზღვევა მფლობელს აძლევს საშუალებას, მწყობრიდან გამოსული ან/და დაზიანებული ქონების სანაცვლოდ შეიძინოს ანალოგიური ახალი ქონება.

ქონებრივი დაზღვევის დროს შეიძლება გაფორმდეს ორი სახის ხელშეკრულება: ძირითადი და დამატებითი. ძირითადი ხელშეკრულების დაზღვევას ექვემდებარება ფირმის კუთვნილებაში არსებული მთელი ქონება (შენობები, ნაგებობები, გადამცემი მოწყობილობები, ძალოვანი, სამუშაო და სხვა მანქანები, სატრანსპორტო საშუალებები, დაუმთავრებელი წარმოების და კაპიტალური მშენებლობის ობიექტები, ინვენტარი, მზა პროდუქცია, საქონელი, ნედლეული მასალები და სხვა).

დამატებითი ხელშეკრულებით შეიძლება დაეზღვიოს ქონება ექსპერიმენტული და საცდელი სამუშაოების ჩატარებისას, გამოფენებზე ექსპონატების გამოფენის პერიოდში და სხვა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სახლის, ბინის დაზღვევის თავისებურებების (სადაზღვევო პროდუქტები, ტარიფები, მოზიდული პრემიები, ანაზღაურებული ზარალები) შესწავლა ოთხი სადაზღვევო კომპანიის მაგალითზე.

მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია სახლის, ბინის დაზღვევის საკითხებზე არსებული ქართული და უცხოური ლიტერატურა, ასევე პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების სტატიები, ინტერნეტით მოძიებული მონაცემები. კვლევის საინფორმაციო ბაზას შეადგენენ: სახლის, ბინის დაზღვევასთან დაკავშირებით არსებული საქართველოს საკანონმდებლო აქტები, საქართველოს მთავრობის დადგენილებები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.

კვლევა მოიცავდა თვისებრივ კომპონენტს. იგი გულისხმობდა სახლის, ბინის დაზღვევასთან დაკავშირებული საკითხების, ამ სფეროს ექსპერტების მოსაზრებების იდენტიფიცირებას. თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუ სადაზღვევო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ჩაღრმავებული ინტერვიუსათვის სადაზღვევო ორგანიზაციებიდან შეირჩა სახლის, ბინის დაზღვევის მქონე სადაზღვევო ორგანიზაციები („ალდაგი“, „ჯი პი აი ჰოლდინგი“,

„არდი“, „აი სი ჯგუფი“). ჩაღრმავებული ინტერვიუ განხორციელდა 2014 წლის აპრილ-მაისის თვეში, თბილისში. ხანგრძლივობა - დაახლოებით 1 საათი.

შედეგები

ბინის, სახლის სადაზღვევო პროდუქტების მიმოხილვა

სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“ ახორციელებს ბინის, სახლის და აგარაკის დაზღვევას განურჩევლად ოთახების რაოდენობისა, განლაგებისა, დიზაინისა და სტილისა. სადაზღვევო კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ქონების დაზღვევის 5 სხვადასხვა პაკეტს: „ახალი ბინა, „ჩემი ბინა“, „ძველი ქალაქი“, „ჩემი ეზო“, „ხის სახლი“. დაზღვეულ რისკებს შეადგენენ: ხანძარი, მეხის დაცემა, აფეთქება, დატბორვა, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი, ბუნებრივი კატაკლიზმები, მიწისძვრა, მილების დაზიანება.

ცხრილი N1. სადაზღვევო პაკეტების შედარება დაზღვეული რისკების მიხედვით, სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“. 2014 წ.

დაზღვეული რისკები	ახალი ბინა[1]	ჩემი ბინა	ძველი ქალაქი	ჩემი ეზო	ხის სახლი
ხანძარი	X	X	X	X	X
მეხის დაცემა	X	X	X	X	X
აფეთქება	X	X	X	X	X
დატბორვა	X	X	-	X	X
ქურდობა	X	X	X	X	X
ძარცვა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი	X	X	X	X	X
ბუნებრივი კატაკლიზმები, მიწისძვრა	X	X	-	X	X
მილების დაზიანება	-	X	-	X	X

1. ახალი ბინა - 1 კვადრატული მეტრი 1 დოლარად 1 წლით. დაზღვევა ხორციელდება 15 წუთში, წინასწარი დათვალიერების გარეშე.

ცხრილი N2. სადაზღვევო პაკეტების შედარება მოცვის პირობების მიხედვით, სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“. 2014 წ.

დაზღვევით მოცვა	ახალი ბინა	ჩემი ბინა	ძველი ქალაქი[1]	ჩემი ეზო[2]	ხის სახლი
ბინა და სარემონტო სამუშაოები	X	X		X	X
ავეჯი	X				
საყოფაცხოვრებო ტექნიკა	X	X		X	X
მობილური ელექტროტექნიკა (ნოუთბუქი, ფოტო/ვიდეო კამერა, მობილური ტელეფონი)	X			X	X
ბინა და შიგთავსი			X		

შენიშვნები:

1. დაზღვევა მოიცავს საცხოვრებელი ბინებისა და შიგთავსის დაზღვევას ძველ, ისტორიულ უბნებში. იგი ითვალისწინებს სადაზღვევო ობიექტებს, რომლებიც თბილისის ძველ უბნებშია განთავსებული, კერძოდ, XVIII საუკუნის შემდეგ აშენებული როგორც ბინა, ასევე სახლი.
2. დაზღვევა ითვალისწინებს 1950 წლის შემდეგ აშენებული ქვის ან აგურის საკუთარი სახლების, აგარაკების დაზღვევას, კერძოდ, კერძო სახლის დაზღვევა როგორც თბილისში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, მიუხედავად იმისა მთელი წლის განმავლობაშია ის დასახლებული თუ მხოლოდ სეზონურად.

ცხრილი N3. სადაზღვევო პაკეტების შედარება ობიექტის აშენების წლის მიხედვით, სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“. 2014 წ.

დაზღვევით მოცვა	ახალი ბინა	ჩემი ბინა	ძველი ქალაქი	ჩემი ეზო	ხის სახლი
დაზღვევა ვრცელდება შემდეგი წლის შემდეგ აშენებულ სახლებზე	1998	1958	XVIII საუკუნე	1950	-

ქონების დაზღვევის ძირითად პაკეტთან ერთად მომხმარებელს შეუძლია შეიძინოს ***მესამე პირთა წინაშე ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა***. იგი გულისხმობს, რომ ანაზღაურდება ზარალი, რომელიც მიადგა მესამე პირის ქონებას დაზღვეულის სახლში წარმოქმნილი ხანძრის, აფეთქების ან წყლის მილების მწყობრიდან გამოსვლის (დატბორვის) შედეგად. (მაგ: მეზობლის ბინაში ჩავიდა წყალი). სადაზღვევო ანაზღაურება გამოითვლება მომხმარებლის მიერ სხვისი ქონებისათვის მიყენებული ზიანის ოდენობიდან.

ქონების დაზღვევის ძირითად პაკეტთან ერთად მომხმარებელს ასევე შეუძლია შეიძინოს ***მოიჯარის პასუხისმგებლობის დაზღვევა.*** იგი გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული აქირავებს ბინას ან სახლს და მოიჯარის დაუდევარი მოპყრობის შედეგად ზიანი მიადგა ქონებას, სადაზღვევო კომპანია აანაზღაურებს ამ ზიანის შედეგად მიყენებულ ზარალს.

მომხმარებელს შეუძლია შეიძინოს ***საცხოვრებელი ხარჯების დაზღვევა,*** რომელიც გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ქონება ცხოვრებისთვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მის შეკეთებამდე ან ახლის შეძენამდე სადაზღვევო კომპანია ანაზღაურებს მსგავსი საცხოვრებელი ფართის ქირის ხარჯებს.

მომხმარებელს შეუძლია შეიძინოს ***საიჯარო შემოსავლების დაკარგვის დაზღვევა.*** იგი გულისხმობს, რომ თუ მას გაქირავებული აქვს დაზღვეული ბინა და სადაზღვევო რისკების შედეგად ის ცხოვრებისთვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში აღმოჩნდა, სადაზღვევო კომპანია დაზღვეული ქონების აღდგენამდე ან ახლის შეძენამდე, აანაზღაურება დაკარგულ საიჯარო შემოსავალს.

სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი მომხმარებელს სთავაზობს სახლის, ბინის ან აგარაკის დაზღვევას. კომპანიას გააჩნია ამ კუთხით ქონების დაზღვევის 2 პაკეტი: პოლისი კომფორტი სტანდარტი და პოლისი კომფორტი პრემიუმი.

პოლისი კომფორტის სტანდარტის ღირებულებაა:

- თუკი დაზღვეული სახლის/ბინის ფართი 120 კვ.მ.-ს არ აღემატება - 10 ლარი თვეში
- თუკი დაზღვეული სახლის/ბინის ფართი 120 კვ.მ.-ზე მეტია - 20 ლარი თვეში

რემონტის დაზიანების შემთხვევაში, ანაზღაურება შეადგენს 1 კვ/მ–ზე მაქსიმუმ 300 ლარს. ავეჯისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის დაზიანების შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია ანაზღაურებს მაქსიმუმ 15 000 ლარს.

პოლისი კომფორტის პრემიუმის ღირებულებაა:

- თუკი დაზღვეული სახლის/ბინის ფართი 120 კვ.მ.-ს არ აღებატება - თვეში 20 ლარი
- თუკი დაზღვეული სახლის/ბინის ფართი 120 კვ.მ.-ზე მეტია - თვეში 30 ლარი

რემონტის დაზიანების შემთხვევაში ანაზღაურება შეადგენს 1 კვ/მ–ზე მაქსიმუმ 500 ლარს. ავეჯისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის დაზღვევის შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია ანაზღაურებს მაქსიმუმ 20 000 ლარს.

ცხრილი N 4: სახლის დაზღვევა. პოლისი კომფორტი. სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი. 2014 წ.

	ბინა 120 კვ.მ.-ზე ნაკლებია		ბინა 120 კვ.მ.-ზე მეტია (პოლისი კომფორტით შეიძლება დაიზღვეს მაქსიმუმ 200 კვ.მ.-მდე ბინა)	
დაზღვეული რისკი/სხვა	სტანდარტი	პრემიუმი	სტანდარტი	პრემიუმი
ხანძარი, კვამლი, აფეთქება	X	X	X	X
წვიმა, სეტყვა, მიწისძვრა, ძლიერი ქარი	X	X	X	X
ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა	X	X	X	X
კანალიზაციის და/ან წყალგაყვანილობის სისტემის მწყობრიდან გამოსვლა	X	X	X	X
მეზობლის ბინიდან წყლის ჩამოსვლა	X	X	X	X
გათბობის სისტემების დაზიანება	X	X	X	X
ელექტროგაყვანილობის მწყობრიდან გამოსვლა	X	X	X	X
მესამე პირის ბოროტგანზრახული ქმედება (ვანდალიზმი)	X	X	X	X
სამი თვის ბინის ქირა – თვეში მაქსიმუმ 500 დოლარის ოდენობით, თუკი ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო სახლში ცხოვრება შეუძლებელია.		X		X
დამატებითი სერვისი: მისტერ მასტერის მომსახურება/*ერთი გამოძახების ფასი პოლისის ღირებულება	25 ლარი	17.5 ლარი	25 ლარი	17.5 ლარი
პოლისის ღირებულება	10 ლარი	20 ლარი	20 ლარი	30 ლარი

პოლისი კომფორტის მფლობელებს შეუძლიათ ისარგებლონ სპეციალური ტარიფით მისტერ მასტერის მომსახურებაზე. მომსახურებაში შედის:

- წყალგაყვანილობის და სანტექნიკის შეკეთება (ონკანის, ნიჟარის, სიფონის, ბაჩოკის, ვენტილის, დრეკადი მილის მონტაჟი/შეკეთება და სხვა)
- ელექტრო გაყვანილობის შეკეთება (ჩამრთველის, როზეტის, ბრის, ჭაღის, სანათების, ელ. გაყვანილობის, ელ. ამომრთველების მონტაჟი/დემონტაჟი/შკეთება და სხვა)
- საკეტების შეცვლა/შეკეთება (ხის, მეტალოპლასტმასის, შუშის, რკინის კარებებზე საკეტების მონტაჟი/დემონტაჟი/შეკეთებადა სხვა)
- უნივერსალური სამუშაოები (თაროს სარკის, შუშის, კარნიზის, კარის მზღუდავის, ზარის მონტაჟი/დემონტაჟი. ავეჯის აწყობა და სხვა)
- მოწყობილობების მონტაჟი (ტელევიზორის, რადიატორის, ატმორის, სარეცხი მანქანის, გაზქურის მონტაჟი/დემონტაჟი)

პოლისი კომფორტი სტანდარტის მფლობელებს– მისტერ მასტერის ერთი მომსახურება 25 ლარი. პოლისი კომფორტი პრემიუმის მფლბელებს – მისტერ მასტერის ერთი მომსახურება 17,5 ლარი.

პოლისი კომფროტის მფლობელებს შეუძლიათ შეიძინონ ***პასუხისმგებლობის დაზღვევა***, თვეში 5 ლარად. მომხმარებელს აუნაზღაურდება მათი მიზეზით (დატბორვით, ხანძრით ან აფეთქებით) მეზობლის რემონტის, ავეჯის და ტექნიკისთვის მიყენებული ზარალი.

სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფი“ მომხმარებელს სთავაზობს ქონების დაზღვევას როგორც კორპორატიული კლიენტებისათვის ისე ინდივიდუალური პირებისათვის.

სადაზღვევო რისკებია:

- ბინის დაზიანება ხანძრით ან აფეთქებით;
- მეზობლის ბინის მფლობელის დაუდევრობით მიყენებული ზიანი;
- დაზღვეულ ბინაში ან მის სასაზღვრო კედელში არსებული სასმელი წყლის, საკანალიზაციო ან წყალგაყვანილობით მომუშავე გათბობის სისტემის (მილი, ონკანი) დაზიანების შედეგად მიყენებული ზიანი;
- დაზღვეული ბინის დაზიანება სტიქიური უბედურებით (ქარიშხალი, წვიმა, სეტყვა, წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი);

- დაზღვეული ბინის გარე კარ-ფანჯრის მინების დაზიანება (გაბზარვა, დამსხვრევა);
- დაზღვეული ბინის დაზიანება კვამლით ან ორთქლით;
- დაზღვეულის დაუდევრობით მეზობლის ბინის დაზიანება

ინდივიდუალური კლიენტებისათვის დაზღვევის ობიექტია:

- ბინა + შიგთავსი + რემონტი
- ბინა + შიგთავსი
- ბინა + რემონტი
- მხოლოდ რემონტი
- მხოლოდ ბინა

კორპორატიული კლიენტებისათვის დაზღვევას ექვემდებარება კომპანიის კუთვნილი ან კანონიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა ან მისი ნაწილი, შიგთავსით ან მის გარეშე, კერძოდ:

- ✓ შენობა-ნაგებობები
- ✓ ცალკეული ფართი შენობაში
- ✓ საამქრო, ლაბორატორია
- ✓ საწყობი, საცავი
- ✓ მოწყობილობები, კომუნიკაციები, სისტემები, მანქანა-დანადგარები
- ✓ ტექნიკა, აპარატები, ელექტრომოწყობილობები, ჩარხები
- ✓ ავეჯი/ინვენტარი, მინა, სარკე, ვიტრინა და ა.შ.

სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი აზღვევს შემდეგი ტიპის ქონებას: ბინა, სახლი, აგარაკი და მათში განთავსებული შიგთავსი. შენობის მაქსიმალური ასაკია - 80 წელი.

დაზღვევა არ მოიცავს:

- ავარიულ ბინებზე/სახლებზე
- ბინებზე/სახლებზე, რომლებიც საცხოვრებლად არ გამოიყენება
- 2 თვეზე მეტი დროით მიტოვებულ ბინებზე/სახლებზე
- შემდეგ შიგთავსსა და ობიექტებზე: დოკუმენტები, საბუღალტრო და სხვა სახის საქმის წარმოების წიგნები, ხელნაწერები, ნახაზები, ნიმუშები, მოდელები,

მაკეტები, ანტიკვარიატი, ხელოვნების ნაწარმოებები, სავაჭრო ავტომატები, ბანკომატები, ფულის გადამცვლელი ავტომატები და მათი შიგთავსი, ძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი, ძვირფასი ქვები, ბეწვეული და მისი ნაწარმი, ფასიანი ქაღალდები, ობლიგაციები, ნაღდი ფული, კომპიუტერსა და სხვა სახის ანალოგიურ სისტემებში არსებული ტექნიკური საინფორმაციო საშუალებები (მაგნიტური ბლოკი, მაგნიტური ლენტა, საინფორმაციო ბლოკი და სხვ.) და ინფორმაციის სხვა მატარებლები, ფეთქებადი და აალებადი საგნები, ცეცხლსასროლი იარაღი, შახტები, ავტოსატრანსპორტო საშუალებები, ნარგავები და ცხოველები.

უშუალოდ ქონების დაზღვევასთან ერთად შესაძლებელია მომხმარებელმა შეიძინოს მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა, რაც დაფარავს ზარალს, რომელიც მიადგა მესამე პირის ქონებას დაზღვეულის სახლში წარმოქმნილი: ხანძრის, აფეთქების, ან წლის მილების მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ.

ცხრილი N 5: ქონების დაზღვევის პირობები და ტარიფები. ქონების დაზღვევა - ვარიანტი 1

დაზღვევისობიექტი	შენობა	შენობა და მასში განთავსებული შიგთავსი
1-ოთახიანი ბინა	7 ლარი	9 ლარი
2-ოთახიანი ბინა	8 ლარი	10 ლარი
3-ოთახიანი ბინა	9 ლარი	12 ლარი
4 -ოთახიანი ბინა	10 ლარი	15 ლარი
5 და მეტოთახიანი ბინა, კერძოსახლი	15 ლარი	20 ლარი

იფარება შემდეგი რისკები:

- ✓ ხანძარი, აფეთქება, მეხისდაცემა
- ✓ სტიქიური უბედურებები, მიწისძვრა
- ✓ წყალგაყვანილობის/საკანალიზაციო/გათბობსისტემის მწყობრიდან უეცარი და მოულოდნელი გამოსვლის შედეგად ქონების დაზიანება
- ✓ ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი

ფრანშიზა შენობის დაზიანების შემთხვევაში შეადგენს ზარალის 5%, მინიმუმ 300 ლარს. შენობაში განთავსებული ქონების დაზიანების შემთხვევაში-200 ლარი.

შენობის დაზიანების შემთხვევაში 1 კვადრატულ მეტრზე ანაზღაურდება მაქსიმუმ 300 ლარი. შიგთავსის შემთხვევაში კი ანაზღაურების ლიმიტები ასე გამოიყურება

ცხრილი N 6: ანაზღაურების ლიმიტები.

1-ოთახიანი ბინა	8 000 ლარი
2-ოთახიანი ბინა	10 000 ლარი
3-ოთახიანი ბინა	12 000 ლარი
4 -ოთახიანიბინა	15 000 ლარი
5 და მეტ ოთახიანი ბინა, კერძო სახლი / აგარაკი	20 000 ლარი

ცხრილი N 7: ქონების დაზღვევა - ვარიანტი 2

დაზღვევის ობიექტი	**შენობა**	**შენობა და მასში განთავსებული შიგთავსი**
1-ოთახიანიბინა	10 ლარი	12 ლარი
2-ოთახიანიბინა	12 ლარი	15 ლარი
3-ოთახიანიბინა	15 ლარი	20 ლარი
4 -ოთახიანიბინა	20 ლარი	25 ლარი
5 და მეტ ოთახიანი ბინა, კერძო სახლი	25 ლარი	30 ლარი

- ✓ ვარიანტი 2-ის შემთხვევაშიც დაზღვევით ვარიანტი 1-ის ანალოგიურად იფარება:
- ✓ ხანძარი, აფეთქება, მეხისდაცემა.
- ✓ სტიქიური უბედურებები, მიწისძვრა
- ✓ წყალგაყვანილობის/საკანალიზაციო/ გათბობის სისტემის მწყობრიდან გამოსვლის შედეგად ქონების დაზიანება
- ✓ ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, მესამე პირების მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

ფრანშიზა დაზიანების შემთხვევაში შეადგენს ზარალის 5%, მინიმუმ 300 ლარს, ხოლო შიგთავსის დაზიანების შემთხვევაში 200 ლარს.

ცხრილი N 8: ანაზღაურების ლიმიტები

შენობა	მაქს 500 ლარი 1 კვადრატულ მეტრზე	
შიგთავსი	1-ოთახიანი ბინა	10 000 ლარი
	2-ოთახიანი ბინა	12 000 ლარი
	3-ოთახიანი ბინა	15 000 ლარი
	4 -ოთახიანი ბინა	20 000 ლარი
	5 და მეტ ოთახიანი ბინა, კერძო სახლი / აგარაკი	25 000 ლარი

მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევის ტარიფი განისაზღვრება წელიწადში 50 ლარიდან.

ქონების დასაზღვევად საჭიროა:

- მფლობელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- აი სი ჯგუფის სადაზღვევო აგენტის მიერ დასაზღვევის ქონების დათვალიერება.

კომპანიებს ოფიციალურ ვერ გვერდებზე განთავსებული აქვთ კალკულატორი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია დაითვალოს საშუალოდ რა ჯდება კონკრეტული ქონების დაზღვევა.

ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

კვლევისთვის გამოყენებული იქნა ინფორმაცია სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკურ მონაცემების შესახებ, ქონების დაზღვევის კუთხით, 4 სადაზღვევო კომპანიის მაგალითზე (ალდაგი ბისიაი, ჯი-პი-აი, არდი ჯგუფი, აი-სი ჯგუფი). ამ მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ 2009 წლიდან 2013 წლის ჩათვლით ქონების დაზღვევის წილი სადაზღვევო ბაზარზე წლიდან წლამდე იზრდებოდა.

ცხრილი N 10: გამომუშავებული პრემიის და ანაზღაურებული ზარალების მონაცემები წლების მიხედვით. ალდაგი ბისიაი 2009-2013 წწ.

წელი	გამომუშავებული პრემია (დაზღვევა)		ზარალი (მიღებული დაზღვევიდან)	
	გამ. პრემია ბრუტო	გამ. პრემია ნეტო	ანაზ. ზარალი ბრუტო	ანაზ. ზარალი ნეტო
2009	9 924 603	4 631 310	7 286 430	2 285 349
2010	7 191 669	3 799 294	566 569	275 449
2011	8 183 472	3 865 900	68 067	58 304
2012	9 813 037	4 850 264	1 666 255	1 524 258
2013	17 391 623	7 793 774	874 871	671 927

წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები.

სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაიაში 2009-2012 წლებში ქონების დაზღვევაში გამომუშავებული პრემია (ბრუტო) მერყეობდა 7მლნ-დან 9მლნ-დე. 2013 წელს იგი საგრძნობლად გაიზარდა და 2009 წელთან შედარებით ზრდის მაჩვენებელმა 43% შეადგინა, ხოლო 2012 წელთან შედარებით - 44%. აქვე აღსანიშნავია, რომ 2009 წელს ზარალი გამომუშავებული პრემიის 73%-ს შეადგენდა, ხოლო 2013 წელს იგივე მაჩვენებელი 5%-მდე შემცირდა, რაც ცხადია განპირობებული იყო გამომუშავებული პრემიის მატებით.

ცხრილი N11: გამომუშავებული პრემიის და ანაზღაურებული ზარალების მონაცემები წლების მიხედვით. ჯი პი აი ჰოლდინგი 2009-2013 წწ.

წელი	გამომუშავებული პრემია (დაზღვევა)		ზარალი (მიღებული დაზღვევიდან)	
	გამ. პრემია ბრუტო	გამ. პრემია ნეტო	ანაზ. ზარალი ბრუტო	ანაზ. ზარალი ნეტო
2009	4 038 906	1 006 207	702 195	196 316
2010	3 423 293	630 809	649 778	55 022
2011	4 664 265	1 006 117	510 230	184 634
2012	5 903 892	1 244 631	1 011 125	106 992
2013	7 245 448	1 541 696	681 898	240 757

წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები.

სადაზღვევო კომპანია ჯი-პი-აი ჰოლდინგში 2009-2013 წლების განმავლობაში მოზიდული პრემია 3 მლნ-ით გაიზარდა და მერყეობს 4 მილიონიდან 7

მილიონამდე, თუმცა ზარალები თითქმის იგივეა და შეადგენს საშუალოდ 680 000-ს, თუ არ ჩავთვლით 2012 წელს როცა ანაზღაურებულმა ზარალმა შედგინა 1 011 125 ლარი მაშინ, როცა გამომუშავებული პრემია იყო 6 მლნ-მდე.

ცრილი N12: გამომუშავებული პრემიის და ანაზღაურებული ზარალების მონაცემები წლების მიხედვით. აისი ჯგუფი 2009-2013 წწ.

წელი	გამომუშავებული პრემია (დაზღვევა)		ზარალი (მიღებული დაზღვევიდან)	
	გამ. პრემია ბრუტო	გამ. პრემია ნეტო	ანაზ. ზარალი ბრუტო	ანაზ. ზარალი ნეტო
2009	682 734	166 495		
2010	645 845	67 525	2 224	521
2011	460 669	67 114	31 794	7 915
2012	1 016 828	214 969	33 789	6 394
2013	1 135 644	196 684	94 884	27 130

წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები.

სტასისტიკურ მონაცემების მიხედვით 2009-დან 2013 წლამდე სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფში“ მოზიდული პრემია (ბრუტო) გაიზარდა ნახევარი მილიონი ლარით. რაც შეეხება ანაზღაურებულ ზარალს, 2009 წელს იგი შეადგენდა გამომუშავებული პრემიის 15%-ს, ხოლო 2013 წელს იგივე მაჩვენებელი 8,3%-მდე შემცირდა. ანუ სხვაობა გამომუშავებულ პრემიასა და ზარალს შორის შედარებით გაიზარდა.

ცხრილი N13: გამომუშავებული პრემიის და ანაზღაურებული ზარალების მონაცმები წლების მიხედვით. არდი ჯგუფი. 2010-2013 წწ.

წელი	გამომუშავებული პრემია (დაზღვევა)		ზარალი (მიღებული დაზღვევიდან)	
	გამ. პრემია ბრუტო	გამ. პრემია ნეტო	ანაზ. ზარალი ბრუტო	ანაზ. ზარალი ნეტო
2010	20 673	20 673	0	0
2011	110 766	110 766	3 234	3 234
2012	648 716	648 716	25 852	25 852
2013	1 363 358	1 224 848	63 031	63 031

წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები.

„არდი ჯგუფი“ სადაზღვევო ბაზარზე 2010 წელს გამოჩნდა. 2010-2013 წლების პერიოდში გამომუშავებული პრემია 98%-ით გაიზარდა. ანაზღაურებული ზარალი კი სულ რაღაც 4,6%-ს შეადგენს. თუმცა, სხვა სადაზღვევო კომპანიებთან შედარებით როგორც გამომუშავებული პრემია, ასევე ზარალი საკმაოდ დაბალია.

მონაცემების მიხედვით, შეგვიძლია იმის თქმა, რომ ეს ოთხი სადაზღვევო კომპანია ვითარდება. 2013 წლის მონაცემებით, გამომუშავებული პრემიის მიხედვით პირველ ადგილზეა „ალდაგი“, მეორე - „ჯი-პი-აი“, მესამე - „აი-სი ჯგუფი“, ხოლო მეოთხე ადგილზეა - „არდი ჯგუფი“.

დიაგრამა N1. მოზიდული პრემიის დინამიკა წლების მიხედვით



მოზიდული პრემია (ქონების დაზღვევა) 2009 წლიდან 2013 წლამდე თითქმის ორჯერ გაიზარდა მაგრამ ბაზრის წილი თითქმის არ შეცვლილა. ამის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ რომ, საქართველოში თითქმის იგივე ტემპით ვითარდებოდა სადაზღვევო ბაზარი (იგულისხმება დაზღვევის ყველა სახეობა), როგორც უძრავი ქონების დაზღვევა.

ცხრილი N14: სადაზღვევო ბაზარზე მზღვეველების ქონების დაზღვევის წილი

წელი	”ალდაგი ბისია”	”აი-სი ჯგუფი”	”ჯი-პი-აი”	”არდი ჯგუფი”
2009	29%	2%	12,6%	-
2010	21%	1,5%	11,5%	0,2%
2011	23%	2,1%	14,9%	0,35%
2012	24%	3%	16%	3,3%
2013	49%	3,3%	20%	3,1%

წყარო: insurance.gov.ge

2013 წლის მონაცემებით გამომუშავებული პრემიის მიხედვით პირველ ადგილზეა „ალდაგი“, მეორე - „ჯი-პი-აი“, მესამე - „აი-სი ჯგუფი“, ხოლო მეოთხე ადგილზეა - „არდი ჯგუფი“.

მიღებული შედეგებზე დაყრდნობით, ჩატარდა აღნიშნული სადაზღვევო კომპანების შემოთავაზებული მომსახურების სვოტ ანალიზი, რომლის მეშვეობითაც დადგინდა ქონების დაზღვევის პროდუქტის როგორც ძლიერი მხარეები და შესაძლებლობები, ისე საფრთხეები და სისუსტეები.

S W O T სადაზღვევო კოპმანია ,,ალდაგი‘‘-ს ქონების დაზღვევა

S – strengths - ძლიერი მხარეები 1.ცნობადობის მაღალი დონე 2.ინოვატორი კომპანია (ტექნიკის დაზღვევა) 3.ძლიერი ორგანიზაციული სტუქტურა 4.24 საათიანი სატელეფონო ცენტრი 5.პროდუქტების მრავალფეროვნება (ქონების დაზღვევის კუთხით) 6.ანონიმური ცხელი ხაზი	**W** – weakness - სუსტი მხარეები 1. შეთავაზებული ინიციატივების სიჭარბის გამო მომხმარებლების გაუთვითცნობიერებლობა 2. დიდი სარეკლამო ხარჯები 3. მარტივი მაგრამ არასაკმარისი ინფორმაციის მომცემი ბევგვერდი
O – opportunities - შესაძლებლობები 1. პროდუქტების დახვეწა 2. ფასების შემცირება 3. ლიდერობის შენარჩუნება 4. ინოვაციების და ტექნოლოგიების დანერგვა 5. კონკურენტი ფირმების პოზიციების შესუსტება	**T** – threates - საშიშროებები 1. კონკურენციის სწრაფი ზრდა,ახალი კონკურენების გამოჩენა 2. ბაზრის წილის შემცირება 3. მომხმარებელთა რაოდენობის შემცირება 4. კადრების გადინება

S W O T სადაზღვევოკომპანია „ჯი-პი-აიჰოლდინგი“-ს ქონების დაზღვევა

S – strengths ძლიერი მხარეები 1.ცნობადობის მაღალი დონე 2.განსხვავაბული რეკლამები 3.ძლიერი ორგანიზაციული სტუქტურა 4.სწრაფ ი რეგირება ბაზრის ცვლილებაზე 5.თითქმის სრული ინფორმაციის მიღება ინტერნეტ გვერდის საშუალებით	W – weakness -სუსტი მხარეები 1.ტექნიკური ხარვეზები 2.დიდი სარეკლამო ხარჯები
O – opportunities შესაძლებლობები 1.პროდუქტების დახვეწა 2.ფასების შემცირება 3.ინოვაციების და ტექნოლოგიების დანერგვა 4.კონკურენტი ფირმების პოზიციების შესუსტება	T – threates საფრთხეები 1.კონკურენციის სწრაფი ზრდა,ახალი კონკურენების გამოჩენა 2.ბაზრის წილის შემცირება 3.მომხმარებელთა რაოდენობის შემცირება 4.კადრების გადინება

S W O T სადაზღვევოკომპანია „არდიჯგუფი“-ს ქონების დაზღვევა

S – strengths -ძლიერი მხარეები 1.სანდოობის მაღალი მაჩვენებელი. 2.წამახალისებელი აქციები. 3.ძლიერი ორგანიზაციული სტუქტურა 4.სწრაფი რეგირება ბაზრის ცვლილებაზე 5.დაზღვევადი რისკების მრავალფეროვნება.	W – weakness -სუსუტი მხარეები 1.ტარიფების შესახებ ინფორმაციის წვდომის დაბალი დონე. 2. კლიენტებთან ურთიერთობისას ოპერატიულობის დაბალი მაჩვენებელი. 3.მაღალი ტარიფები 4.ბაზრის ამ სეგმენტში კონკურენტუნარიანობის დაბალი მაჩვენებელი.
O – opportunities -შესაძლებლობები 1.პროდუქტების დახვეწა. 2.სარეკლამო პოლიტიკის გააქტიურება. 3.ფასების დაბალანსება. 4. მომხმარებელზე მეტი ორიენტირებულობა.	T – threates -საშიშროებები 1.კონკურენტების გააქტიურება. 2.მომხმარებელთა რაოდენობის შემცირება. 3.სტიქიური უბედურებები.

S W O T სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფი“-ს ქონების დაზღვევა

S – strengths -ძლიერი მხარეები 1.ხელმისაწვდომი ფასები 2.მოქნილი სერვისი 3.მომხმარებელზე ორიენტირებული პროდუქტი 4.სადაზღვევო აგენტების ადგილზე მომსახურება 5.დამატებითი სერვისების შეძენის შესაძლებლობა.	**W** – weakness -სუსუტი მხარეები 1.2 თვეზე მეტი დროით მიტოვებულ ბინებზე/სახლებზე არ ვრცელდება სპეციალური შეთავაზების დაზღვევის პირობები 2.სადაზღვევო შემთხვევის მიზეზის დაზუსტების ბუნდოვანი პრინციპი. 3.ვებ გვერდიდან ინფორმაციის წვდომის დაბალი შესაძლებლობა.
O – opportunities -შესაძლებლობები 1.პროდუქტების დახვეწა 2.ფასების შენარჩუნება 3.მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდა 4. ქონების დაზღვევის ახალი პროდუქტების შემუშავება	**T** – threates -საშიშროებები 1.არსებული კონკურენტების გააქტიურება 2.სტიქიური უბედურებები 3.მომხმარებელთა რაოდენობის შემცირება 4.კადრების გადინება

დისკუსია, ინტერპრეტაცია

სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“ მომხმარებელს სთავაზობს ქონების დაზღვევის ერთ-ერთ ყველაზე მრავალფეროვან პაკეტებს. აზღვევს როგორც ახალ, ისე ძველ ბინებს და მათში განთავსებულ შიგთავსს. მოცემული 5 პროდუქტი მოიცავს საქართველოში არსებულ თითქმის ყველა ტიპის საცხოვრებელ სახლს, შესაბამისად იგი განკუთვნილია მომხმარებელთა ფართო წრეზე, რომლებსაც ქონების დაზღვევა სურთ. ახალი ბინის შემთხვევაში პროცედურები შედარებით მარტივდება, რადგან დაზღვევა ხორციელდება 15 წუთში წინასწარი დათვალიერების გარეშე, ეს ამარტივებს დაზღვევის პროცესს. აღნიშნული სერვისი სხვა კომპანიებს არ აქვთ.

ასევე აღსანიშნავია, საცხოვრებელი ბინების და შიგთავსის დაზღვევა ძველ, ისტორიულ უბნებში. როგორც ცნობილია, ხშირ შემთხვევაში ზემოთხსენებული ბინები ავარიულ მდგომაორებაშია და სადაზღვევო კომპანიები ერიდებიან ასეთ ადგილებში რისკების საკუთარ თავზე აღებას. თუმცა, სადაზღვევო კომპანია ალდაგი

ბისიაი ამ ტიპის საცხოვრებელი სახლების დაზღვევასაც სთავაზობს თავის მომხმარებლებს.

აგარაკების დაზღვევას ორი სადაზღვევო კომპანია („ალდაგი ბისიაი“ და „აი სი ჯგუფი“) ახორციელებს. აზღვევენ როგორც კერძო სახლებს თბილისში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. თუმცა, სადაზღვევო კომპანის „აი სი ჯგუფისგან“ განსხვავებით „ალდაგი ბისიაი“-ს არ აქვს ის პირობა, რომ აუცილებელია სახლი 2 თვეზე მეტი დროით მიტოვებული არ იყოს. ძირითადად აგარაკებზე სეზონურად ჩადის ხალხი დასასვენებლად და შესაბამისად ზემოთ აღნიშნული პირობა ბევრისთვის მიუღებელია.

სადაზღვევო კომპანია „ჯი-პი-აი ჰოლდინგი“ 120 კვ.მ-ზე მეტი ფართის ბინის დაზღვევის შემთხვევაში მომხმარებელს სთავაზობს „მისტერ მასტერი“-ს მომსახურების ფასდაკლებას 17,5 ლარად ნაცვად 25 ლარისა.

პასუხისმგებლობის დაზღვევის ტარიფი სადაზღვევო კომპანიების „ალდაგი“ და „აი სი ჯგუფთან“ შედარებით, ყველაზე დაბალი აქვს „ჯი-პი აი ჰოლდინგ“-ს, რომელიც მომხმარებელს პასუხისმგებლობის დაზღვევას თვეში 5 ლარიდან სთავაზობს. სადაზღვევო კომპანია ანაზღაურებს მესამე მხარისთვის დატბორვით, ხანძრით ან აფეთქებით მიყენებულ ზარალს. აღნიშნული პროდუქტი სადაზღვევო კომპანია „არდი“-ს არ აქვს.

სადაზღვევო კომპანია „არდი“-ს ქონების დაზღვევა შედარებით ნაკლებადაა განვითარებული. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ იგი ძირითადად ჯანმრთელობის დაზღვევაზეა ორიეტირებული. ვინაიდან ინფორმაციის მიღება თითქმის შეუძლებელი იყო, ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსებული კალკულატორის მიხედვით დავთვალეთ 2 ოთახიანი ბინის სადაზღვევო პრემია, რომელიც ცენტრთან ახლოს მდებარეობდა და წლოვანებითაც არც ისე დიდი პერიოდის იყო. წლიურმა სადაზღვევო პრემიამ 160 $ შეადგინა, რაც არც თუ ისე დაბალი მაჩვენებელია.

სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფი“-ს ტარიფები თითქმის ყველა ფენის წარმომადგენლისთვის ხელმისაწვდომია, თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ანაზღაურების ლიმიტებიც პრემიის შესაბამისია. იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელს ლიმიტები არ აკმაყოფილებს, იგი ავსებს სპეციალურ განაცხადს, სადაც მიუთითებს ქონების ღირებულებას თავისი შიგთავსით. „აი სი ჯგუფის“

წარმომადგენელი უკავშირდება მომხმარებელს სადაზღვევო პრემიის და დეტალების თაობაზე. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ტარიფი ფიქსირებულზე მაღალია.

დასკვნა და რეკომენდაციები

მოცემული კვლევის, ფინანსური მაჩვენებლების შედეგების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ რომ, განხილული ოთხი სადაზღვევო კომპანიიდან ქონების დაზღვევის კუთხით, 2009 წლიდან დღემდე ლიდერობას ინარჩუნებს სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“, შემდეგ მას მოჰყვებიან: „ჯი-პი-აი ჰოლდინგი“, „აი-სი ჯგუფი“ და სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფი“.

სადაზღვევო კომპანია „ალდაგს“ აქვს ყველაზე მრავალფეროვანი ქონების დაზღვევის პაკეტები და მისი პირველობა ამითაც შეიძლება იყოს გამოწვეული. სადაზღვევო პაკეტების სიმრავლის გამო ის მორგებული და მისაღებია მოსახლეობის უფრო ფართო მასებისათვის, ვიდრე, მაგალითად, „ჯი-პი-აი ჰოლდინგის“ ორი სადაზღვევო პილისის შეთავაზება. „აი-სი ჯგუფის“ ამ ოთხეულში მოხვედრის მიზეზს შეიძლება წარმოადგენდეს ის გარემოება, რომ ისევე როგორც „ალდაგ“-ს, ამ კომპანიასაც საკმაოდ მოსახერხებელი, მარტივი და მომხმარებელზე ორიენტირებული ქონების დაზღვევის პროდუქტი აქვს. სამწუხაროდ ამას ვერ ვიტყვით სადაზღვევო კომპანია „არდიზე“.

მოცემული კვლევა გვიჩვენებს, რომ საქართველოს სადაზღვევი ბაზარზე სახლის, ბინის დაზღვევის მხრივ, პირველობას იკავებს ის კომპანია, რომელსაც უფრო მრავალფეროვანი და იაფი შემოთავაზებები აქვს. დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში არსებული სხვადასხვა მიზეზების გამო, მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს საშუალება მათ საკუთრებაში არსებული ქონება დააზღვიონ, მეორე ნაწილი კი უბრალოდ საჭიროდ არ მიიჩნევს. თუ სადაზღვევო კომპანიას ქონების დაზღვევაში სურს წარმატების მიღწევა უნდა შექმნას სხვადასხვა ტიპის ქონების დაზღვევის პაკეტები, რათა მომხმარებელს მრავალფეროვანი არჩევანის გაკეთების საშუალება ჰქონდეს. გასათვალისწინებელია საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და მომხმარებელს მიეცეს მისთვის ხელმისაწვდომი და მისაღები ფასის და მომსახურების ხარისხის სადაზღვევო პაკეტის თავისუფალი არჩევანის საშუალება. მნიშვნელოვანია სადაზღვევო პროდუქტებთან მიმართებით

მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება. ამ მხრივ საჭიროა სარეკლამო კამპანიების გააქტიურება, რომ მოსახლეობამ უკეთ დაინახოს ამ პროდუქტების საჭიროება. ასევე მნიშვნელოვანია მარტივი და საჭირო ინფორმაციის მომცემი ინტერნეტ გვერდის შექმნა, რომელიც უფრო მეტ ინფორმაციას მიაწვდის მომხმარებელს სადაზღვევო პირობების შესახებ. ამით შესაძლებელი იქნება უკვე არსებული კლიენტების წახალისება და ახლების მოზიდვა.

ამრიგად, იმისთვის რომ სადაზღვევო კომპანია იყოს წარმატებული (ქონების დაზღვევის მიმართულებით) საჭიროა: ქონების დაზღვევის მრავალფეროვანი პაკეტების შეთავაზება, პაკეტების მორგება მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე, მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება.

აბსტრაქტი

შესავალი: სახლის, ბინის დაზღვევა ქონების დაზღვევის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. იგი უზრუნველყოფს ქონების ნებისმიერი მესაკუთრის (მოქალაქის, საწარმოს, სახელმწიფოს) ქონებრივი ინტერესების დაცვას მისი განადგურების, დაზიანების ან დაკარგვის რისკისაგან. კვლევის მიზანს წარმოადგენს სახლის, ბინის დაზღვევის თავისებურებების (სადაზღვევო პროდუქტები, ტარიფები, მოზიდული პრემიები, ანაზღაურებული ზარალები) შესწავლა ოთხი სადაზღვევო კომპანიის მაგალითზე. ***მეთოდოლოგია:*** კვლევისათვის გამოყენებულ იქნა თვისობრივი კომპონენტი, რომელიც გულისხმობდა სახლის, ბინის დაზღვევასთან დაკავშირებული საკითხების, ამ სფეროს ექსპერტების მოსაზრებების იდენტიფიცირებას. ამისათვის ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუ სადაზღვევო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ***შედეგები:*** ქონების დაზღვევის ფინანსური მაჩვენებლების შედეგების მიხედვით 2009 წლიდან დღემდე ლიდერობს სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“, შემდეგ მას მოჰყვებიან: „ჯი-პი-აი ჰოლდინგი“, „აი-სი ჯგუფი“ და სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფი“. რაც შეეხება სადაზღვევო პროდუქტებს, სადაზღვევო კომპანია „ალდაგს“ აქვს ყველაზე მრავალფეროვანი, საკმაოდ მოსახერხებელი, მარტივი და მომხმარებელზე ორიენტირებული ქონების დაზღვევის პროდუქტები. ***დასკვნა:*** საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის

გათვალისწინებით მნიშვნელოვანია სახლის, ბინის დაზღვევის მრავალფეროვანი და იაფი სადაზღვევო პაკეტების განვითარება, რაც მომხმარებელს საშუალებას მისცემს გააჩნდეს მისთვის ხელმისაწვდომი, მისაღები ფასის და ხარისხის სადაზღვევო პაკეტის თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია სადაზღვევო პროდუქტებთან მიმართებით მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ქონების დაზღვევა, სახლის დაზღვევა.

Houses, apartments insurance products in georgian insurance market

Tengiz Verulava, Qetevan Gabunia, Nino Janjalashvili

Abstract

Insurance of Apartment,or House is one Type of Insurance. It ensures protection of properties Interests of each Property Owner (citizen,enterprise, state) from its Risks of exterminating, injure or loss. Reason of Research is studing of features of House/Apartment Insurance (Insurance products, Rates, obtained Awards, refunded Losses) on examples of four Insurance Companies .

Methods: For the Research have been used the qualitative component, which means identification of thoughts of Experts of this Field about issues regarding House/ Apartment Insurance. To do this was held a deep Interview with Representatives of Insurance Companies.

Results: With results of properties Insurances financial Indicators, since 2009 till now Insurance Company “Aldagi “ is the leader, than comes “ GPI Holding”, “AC group”, and Insurance Company “Ardi group”. Regarding Insurance Products, Insurance Company “Aldagi” has the most comfortable, easy, diverse and on Customers oriented Insurance Products.

Conclussion: Considering the excisted Economic Sustainbility in Georgia, it’s important to develop the cheap and diverse Types of House/ Apartment Insurance, which gives the Oportunity to Customers to have an option to choose Insurance package with the most acceptable and available Price and Quality for themselves. Also it’s important to rise the Awareness between Society about Insurance packages.

Key Words: Property Insurance, House Insurance.

ბიბლიოგრაფია

- ”აი-სი ჯგუფი”.2014 წლის მაისი-ივნისი.ქონების დაზღვევა და მისი სახეები. ოფიციალური ვებგვერდი:http://icgroup.ge/index.php?a=main&pid=130&lang=geo
- ”ალდაგი”. ქონების დაზღვევა და მისი სახეები.2014 წლის მაისი-ივნისი ოფიციალური ვებგვერდი: http://www.aldagibci.ge/index.php?m=27
- ”არდი ჯგუფი” ქონების დაზღვევა და მისი სახეები.2014 წლის მაისი ივნისი ოფიციალური ვებგვერდი: http://ardi.ge.
- ბიზნეს პორტალი LARI.GE. რა არის დაზღვევა. 2014 წლის მაისი. ოფიციალური ვებგვერდი: http://www.lari.ge/menu/30-ra-aris-dazghveva/14-ra-aris-dazghveva.html
- ბიზნესი და კანონმდებლობა 2009 წელი. ”დაზღვევა ფინანსრური ბაზრის სისტემაში”. ეკა ჯიმშელაძე
- ვეკუა დავით. ქონების დაზღვევა. 2011 წლის სალექციო მასალა.
- ვერულავა თენგიზ. ქონების დაზღვევა. 2011 წლის ვიდეოლექცია. ”ბურუსი”.http://burusi.wordpress.com/2011/11/28/verulava-6/